

ნუნუ გელდიაშვილი

ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თელავი, საქართველოNunu.geldiashvili@tesau.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.14>**მწერლის ინდივიდუალური ხელწერის შექმნის ზოგიერთი
შესაძლებლობისათვის ქართულში**

(დავით თურდოსპირელის შემოქმედების მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: მცირე პროზა, დავით თურდოსპირელი, სათაური

ხშირად ადამიანები საკუთარ ნაჭუჭს იქით ვერას ამჩნევენ, უბრალო, ყოველდღიურ, ჩვეულებრივ მოვლენას ყურადღების ღირსად არ ხდიან. თუმცა, საკმარისია, ამ უმნიშვნელო, მცირე მოვლენას ნიჭიერი მწერლის გრძნეული ხელი შეეხოს, ჩვენ თვალწინ უზარმაზარი პანო გადაიშლება და ღრმა გრძნობებსა და ფიქრებს აუშლის მკითხველს. განსაკუთრებით მცირე ფორმის ნაწარმოები „ვერ ეგუება ერთ ჩავარდნილ ფრაზასაც კი, რადგან თითოეული სიტყვა დამუხტულია დიდი შინაარსით“ [7, 2002].

დავით თურდოსპირელის შემოქმედებაში მწერლის ინდივიდუალური ხელწერის შექმნის შესაძლებლობების მრავალ საინტერესო წახნაგთა შორის ერთ-ერთი ტექსტთა სახელდების პრინციპებია. რადგან ცნობილია, რომ, ზოგადად, სათაური ტექსტის განუყოფელი ნაწილი და ერთგვარი მედიატორია მკითხველთან, ნათელი ხდება დასათაურებისას მწერლების წინაშე მდგომი ეს რთული ამოცანა - სათაურის, ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი ფრაზის, განსაკუთრებულობა - ცუდად მოფიქრებულმა სათაურმა შეიძლება დააკნინოს ტექსტის მნიშვნელობა, ან, იმ შემთხვევაში, თუ ეფექტურობით ტექსტის შინაარსს აღემატება, იმედი გაუცრუოს მკითხველს. მეტიც, მიჩნეულია, რომ „მხატვრული ტექსტის სემანტიკური ღერძი სწორედ სათაურის გავლენით ყალიბდება“ [6, 2014]. იგი არა მხოლოდ ავტორის სტილის მაჩვენებელი, არამედ იმ მხატვრულ-კულტურული აზროვნების გამომხატველიცაა, რომლის წიაღშიც ის შეიქმნა [1, 2015].

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ავტორი მთავარ სათქმელს უმეტესად ერთი სრულ-მნიშვნელოვანი სიტყვით გადმოსცემს და მას სათაურად გვთავაზობს. ასეთ შემთხვევებში ძირითადად არსებითი სახელების სხვადასხვა ფორმაა გამოყენებული მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში: „წიწკა“; „დედა“; „მამა“; „დედიკო“; „ბუხარი“; „კოცონი“; „ლაქია“; „გაზაფხული“; „შემოდგომა“; „ზამთარი“; „ცეცხლი“; „სასწავლებელი“; „ვარდისუბანი“; „მეძავეები“; „ილუმინაციები“; „დარბაზში“; „დღესასწაულზე“; „ყვავილთა შორის“...

ცნობილია, რომ სათაური ინფორმატულობას იძენს მხატვრულ ტექსტთან მიმართებაში და „მისი სემანტიკის სიღრმე მთლიანად აღიქმება მხოლოდ მხატვრულ ტექსტთან ერთიანობაში“ [4, 2004]. ამ ფონზე ძალზე საინტერესოდ გამოიყურება სათაურებად აბსტრაქტული არსებითები, რომელებიც ტექსტის საკვანძო იდეას კარგად წარმოაჩენენ - მთავარ თემასა თუ პრობლემას გამოხატავენ: „სიყვარული“; „ომიანობა“; „ხეტიალი“; „პირველმისობა“; „წარსული, ახალგაზრდობა...“.

ერთსიტყვიან სათაურებად იშვიათადაა გამოყენებული ზედსართავი სახელები: „ფაშისტი“; „გმირი“; „დაპატიმრებულნი“...

ქართული ენისათვის ზმნა-შემასმენლის განსაკუთრებულობა და სპეციფიკა მწერლებს საშუალებას აძლევს, სათაურებად სწორედ მათ მიმართონ ძირითადი სათქმელის გადმოსაცემად: „ვიხარხარებდი“; „დაიგვიანე“; „მესიზმრა“; „რა მებრალებით“ ..

ზმნა-შემასმენელი საკმაოდ პროდუქტიულ ორწევრა მოდელს ქმნის სახელთან, ზოგჯერ კი - ზმნიზედასთან: „მოცქრიალებს გაზაფხული“; „გაჩერდა ჟამი“; „დააღე პირი“; „მიწა ხარ“; „მე შეგაეშხე“; „ყველას წაგვიყვანს“; „ყველაფერი ჰკვდება“; „შინ მიჰყავთ“.

ორწევრა სათაურებად ხშირად დასტურდება ასევე ზედსართავი და არსებითი სახელების მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციული (იშვიათად პოსტპოზიციური) წყობის მოდელები: „წითელი ზამთარი“; „არგუსისთვალეა ციხე“; „მკჷნარს ფოთლებთან“; „მოდოლიაღე ფურგუნით“; „სალუქი სამკაული“; „გულადი ბიჭები“; „გაწყვეტილი ზღაპარი“; „გულშეუტკივარი სოფელი“; „მშვიდობიან ოთახში“; „სასწაულმოქმედი“ ხატი“; „მტანჯავი ზღაპარი“; „უყუათო კვება“; „სიხარული უმწვერვალესი“... შედარებით ნაკლებად - ნაცვალსახელი + სახელის მოდელი: „ჩვენი ბინა“; „ჩემი ულტიმატუმი“; „ჩემი მეგობარი“...

ზოგადად კი ჭარბობს არსებით სახელთა ორწევრა და შერეული (სამწევრა, ზოგჯერ მეტიც) მოდელები: „ყურძნის ქურდები“; „ტყის ხანძარი“; „ტყის დღე“; „დედის სურათი“; „ალაზნის ველზე“; „მასწავლებელთა ფავორიტები“; „გაზაფხულის პირი“; „ბრწყინვალეთა ქველმოქმედება“; „გაკვეთილის გამოტოვება“; „გულების სამრეცხაო“; „ობლის კვერი“; „დედის პროფესია“; „ძმის სიკვდილი“...

„ზამთარი საბავშვო სახლში“; „გამარჯვების ალო გაზაფხულისა“; „მოხსენება ეროვნულ საკითხზე“; პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე“; „სუსხიანი ცხოვრების გზაზე“; „ძველი ლურსმნების ძებნაში“; „სხვისა პურის სიმწარე“... „ცხოველთა მფარველი საზოგადოების წევრი“; „უსახური ცხოვრების გადასხვაფერების ხერხი“...

თუ არ ჩავთვლით გამეორების შემთხვევებს, ერთგვარ წევრებს სათაურებად ძალზე იშვიათად ვხვდებით, ძირითადად უკავშიროდ: „ცრემლები... ეკლები...“; „მომთეთქვეს, დამალილავეს“; „არ ვეურჩებით, არ ვეურჩებით“; „გცივა, გცივა“; „ამოუცნობი ვარ, ამოუცნობი“... გამონაკლისებია კავშირებით შეერთებული სათაურები: „დავით და კონსტანტინე“; „გაზაფხული და პირველი მაისი“.

ნიშანდობლივია საკუთარი სახელებით, კერძოდ, ადამიანთა სახელებით, გვარებით ან ფსევდონიმებით გამოხატული სათაურები: „ამირანი“, „ბეგლარ ახოსპირელი“; „ძეძვია“... ზოგ შემთხვევაში საკუთარი სახელები მსაზღვრელის ან საზღვრულის ფუნქციითაა: „შოთას სინანული“; „თემოს სიზმარი“; ი. დავითაშვილის საფლავზე“; „ონავარი ვანო“; „ციხეში პეტრესთან“; „აუდიენცია“ კნენასთან“; „პოლიციის ბოქაული“; „ნიკოს დასახიჩრება“; „ელდა ლევანზე“...

სათაურების მახასიათებლების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ნაკლებად, მაგრამ მაინც, ფიგურირებს მათში რიცხვითი სახელები: „ორი ბექობი“; „ორი ქალი“; „პირველი დავალება“; „პირველი ნაბიჯები“; „პირველი მაისობა“; „შვიდაბაზიან ოთახში“; „მოწაფეობის პირველი დღე“...

რიგ შემთხვევებში, სათაურად გვაქვს არა ცალკეული სიტყვები ან ფრაზები, არამედ დასრულებული, ზმნის შემცველი წინადადება გავრცობილი, ან გაუვრცობელი სახით: „კურდღელი მიცანცალებს დასაძინებლად“; „პოეტს ლექსი დაუწუნეს“; „ჩვენ ისევ

მოვალთ“; „მიდიან ნისლები“; „წერილი მისწერეს პოეტს“; „ძლივს დაისვენა“; „როგორ გავხდი უღმერთო“; „გედის ქვითინით ასაფლავებს“...

ერთ-ერთი ჯგუფი პერსონაჟისეული სათაურებია, რომლებიც ნაწარმოების წაკითხვამდე აუწყებს მკითხველს, თუ ვის, ან რის შესახებ არის ტექსტი. პერსონაჟისეულ სათაურებში მთავარ გმირი წარმოდგენილია სხვადასხვაგვარად: პირველი, როდესაც მხოლოდ ანთროპონიმი - საკუთარი სახელია სათაურად: „დავით და კონსტანტინე“...

მეორე - მთავარი გმირი, წარმოდგენილი ანთროპონიმით ან ზოგადი არსებითი სახელით + მსაზღვრელი ან საზღვრული მოდელით, რაც, განსხვავებით მხოლოდ ანთროპონიმისაგან, აზუსტებს ინფორმაციას მთავარი გმირის ან მის გარშემო განვითარებული მოვლენის შესახებ და გვხვდება ძირითადად სპეციალობის, პროფესიის, საქმიანობის სახელწოდებით: „მებრძოლი ლაშვირა“; „მწყემსი გოგია“; „ციხის უფროსი რიმკევიჩი“...

ერთ შემთხვევაში სათაური გვაწვდის ინფორმაციას არა ერთი, არამედ რამდენიმე გმირის შესახებ: „დავით და კონსტანტინე“...

ცალკე გამოიკვეთა მხოლოდ ზოონიმით (მსაზღვრელის ან საზღვრულის გარეშე) წარმოდგენილი, იშვიათად კი ზოონიმის შემცველი სათაურების სემანტიკური ჯგუფი: „კრუხ-წიწილა“; „ჩიორები ზამთარში“; „კურდღელი მიცანცალებს დასაძინებლად“...

გამოყოფენ დრო-სივრცითი განზომილების მაჩვენებელ სათაურებსაც [1, 2016]. კვლევამ გვიჩვენა, რომ როგორც დროის, ისე სივრცითი სათაურები გამონაკლისების სახითაა: „წინათ“; „ნიადაგ მატყლის რეცხვა“; „წარსული, ახალგაზრდობა...“; „მთვარის დაბნელება“; „სასაფლაოზე“; „ავლაბარში“; „ქალაქი იანუსი“; „იკაროსზე მეოცნებე“; „სიონის გარეთ“ ...

აღსანიშნავია ტექსტთა პირდაპირი ნათქვამით დასათაურების ნიშანდობლიობა - პერსონაჟის ნათქვამი ფრაზით წარმოქმნა. ავტორები ექსპრესიის გამოწვევას პერსონაჟის განცდებისა და კულმინაციის მომენტში წამომახილის სათაურად გადმოტანით ცდილობენ. თავდაპირველად მკითხველისთვის გაურკვეველია, მაგრამ შემდეგ უკვე ნათელი ხდება ნაწარმოების დედააზრი და მწერლის მიზანდასახულობა. ამგვარი სათაურები უმეტესად ძაბილის, კითხვით-ძაბილის, და, ზოგიერთ შემთხვევაში, კითხვითი წინადადებით არის შემოთავაზებული: „შემოდგომის მწუხრს დავიბადე!“; „რას ერჩიან ამ ცუგრუმელას?!“; „ვაშა გაღვიძებულ სიცოცხლეს“; „ვინც ოზიან პურს შესჭამს, აბაზიანს იპოვის“; „ტყის მკვლეელი - კაცის მკვლეელია“; „... და ისმოდა მხოლოდ ხარხარი...“; „გედის ქვითინით ასაფლავებს“; „ცხოვრება მოკლე სიზმარია“; „ყველაფერი ჰკვდება“; „გაჩერდა ჟამი“; „მშვიდობით, ყვავილებო!“...

ასეთ სათაურებს „მოლაპარაკე“, „ციტატურ“, ან კულმინაციურ სათაურებს უწოდებენ, რადგან ნაწარმოების კულმინაციური მომენტებიდან გამომდინარეობენ [3, 2014: 11].

ცნობილია, რომ „სათაური თავისი შინაარსით შეიძლება იყოს ემოციურად ნეიტრალური და ემოციურად დამუხტული. ემოციის სარეალიზაციოდ სათაურში ობიექტურადაა მოცემული სპეციალური ენობრივი სიგნალები“ [5, 2004: 177]. მისი სარეალიზაციო ერთ-ერთი სიგნალი არის შორისდებული, რაც დამახასიათებელია ქართული მცირე პროზისათვის. ასეთ სახელწოდებებში დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის შორისდებულები. თურდოსპირელთან აღმოჩნდა: აღფრთოვანება/აღტაცების: „ვაშა გაღვიძებულ სიცოცხლეს“... და სიბრაზე/ განრისხება/მუქარის გამომხატველი: „ახ, რას უზამ ამ ლაწირაკებს!“

სათაურის ექსპრესიულობის ერთ-ერთ საშუალებად **ხაზგასასმელია ლექსიკური გამოვრების შემთხვევები: „არ ვეურჩებით, არ ვეურჩებით“; „გცივა, გცივა“; „ამოუცნობი ვარ, ამოუცნობი“...**

სახელწოდებებში ექსპრესიულობასა და გრადაციას ემსახურება აგრეთვე სინონიმია, რასაც იშვიათად, მაგრამ აღმოვაჩენთ: **„მიმთეთქვეს, დამალილავეს“...**

სათაურებში, უდავოდ, განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელია ინტენსიურად გამოყენებული სასვენი ნიშნები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს გადმოცემულ ექსპრესიას, აშკარა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და მუხტავს მას გარკვეული ემოციითა და სათაურში წარმოდგენილი ეფექტის მოლოდინით. ძირითადად გვხვდება ძახილის: **მშვიდობით, ყვავილებო!; „დააღე პირი!; „ახ, რას უზამ ამ ლაწირაკებს!; „ბულბულის სტვენით გეძახდი!; „შემოდგომის მწუხრის დავიბადე!; კითხვა-ძახილის: „რას ერჩიან ამ ცუგრუმელას?!“; ერთ შემთხვევაში კი - სამწერტილი: „წარსული, ახალგაზრდობა...“**

ამდენად, ნათელია, რომ დავით თურდოსპირელის მცირე პროზის სახელწოდებათა სტრუქტურასა და სემანტიკას განსაკუთრებული როლი აკისრია. ავტორისათვის ეს, მართლაც, სერიოზულ და მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მათი მეშვეობით, უდავოდ, გვეძლევა შესაძლებლობა, გამოვკვეთოთ მწერლის ინდივიდუალური ხელწერა, გავარკვიოთ, როგორ ახერხებს იგი თავიდანვე მკითხველზე ზემოქმედებას, ტექსტის მთავარი იდეისა თუ თემის წარმოჩენას.

სათაურების ასეთი დეტალური მიმოხილვა გვამძლეებს შესაძლებლობას, თავისუფლად განვსაზღვროთ მწერლის თემატური არჩევანი - ვისზე ან რაზე წერდა, რა აწუხებდა/რაზე წუხდა იგი და სხვა. მათგან მარტივად იკვეთება (და შემდეგ შინაარსიც მოწმობს), რომ დავით თურდოსპირელი თავის შემოქმედებაში, ფაქტობრივად, აშუქებს ყველა იმ თემას, რასაც მცირე პროზის სხვა მიმდევრები. ეს კი ძირითადად მწერლის თანადროული ეპოქის რეალური სურათის ამსახველი უმნიშვნელოვანესი პასაჟებია:

სოციალური ფონი: გაჭირვებული გლეხი, შიმშილი, ჩაგვრა, უსამართლობა, სოციალური უთანასწორობა და კლასობრივი ჩაგვრა.

ადამიანების ყოფითი, სოციალური ფონის ჩვენება და ადამიანში ჰუმანურობის ძიება („ჰუმანურობაა მთავარი ძარღვი“); გასაოცარი სიძლიერითაა წარმოჩენილი და წინ წამოწეული ადამიანის შინაგანი სამყარო - მისი სულიერი და გონებრივი მდგომარეობა.

ადამიანის რაობისა და ადამიანის დანიშნულების, ადამიანობის/კაცთა სიყვარულის, დიადი ჰუმანურობის, მოყვასზე (შვილებზე) ზრუნვის და სიკეთის საკითხებია ძალზე აქტუალური მწერლის შემოქმედებაში.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ არც **პესიმშიზმი** დარჩენილა ყურადღების მიღმა. ტექსტები საკმაოდ მძიმე, შავ-ბნელ **ფონზეა დაწერილი, საიდანაც, თითქოსდა, გამუდმებით გაისმის გლოვის ხმები...**

ჩვენი ინტერესი, მათზე დაყრდნობით, **ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის შექმნაა**, ძიება იმისა, თუ რას წერს მწერალი თაობებისათვის, რომელია ის კონცეპტები, რომლებმაც ქართველთა მენტალობაში (თაობებში) უნდა პოვოს მარადიული ასახვა; რისთვის უნდა იყვნენ ადამიანები/მოზარდები მზად ცხოვრებაში?!; რას არ უნდა შეეგუონ, ან პირიქით - რა გაითავისონ!

პარადიგმამ ძირითადად მიიღო შემდეგი სახე:

- გულწრფელობა ყველაზე უკეთესია

▪ ცხოვრებაში მიზანი უნდა გქონდეს / სიცოცხლისათვის უნდა მოემზადო, სიცოცხლის უნარიანობის ჭარბად მქონე იმარჯვებს მხოლოდ

▪ სწავლა-განათლება აუცილებელია

▪ მასწავლებლის როლი და პასუხისმგებლობა განსაკუთრებულია / უღირსი ქმედებები არ უნდა იკადროს

▪ დედა უმნიშვნელოვანესია ცხოვრებაში / მას შვილის პიროვნებად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის / დედა ყველაზე ძლიერ უნდა გიყვარდეს

▪ უფროსებს უნდა უსმენდე, უჯერებდე

▪ სიკეთე თესო

▪ ერთგულება უმთავრესია ხასიათის თვისებათა შორის

▪ მამაცი უნდა იყო, უშიშარი / გულადი / სახელოვანი სიკვდილით უნდა მოკვდე / არაფერს დახარბდე

▪ სამშობლო გიყვარდეს / არაფერზე გაცვალო / არ უღალატო / არაფრის ფასად გაყიდო / უერთგულო / მტერს არ დანებდე

▪ სადაც დაბადებულხარ, უნდა გიყვარდეს და გაუფრთხილდე, კურდღლებს არ უნდა დაუტოვო...

▪ ბუნებას უნდა გაუფრთხილდე /უმეგობრო /ესაუბრო

▪ შიმშილს და სიღარიბეს არ შეეპუო / არ დანებდე, ებრძოლე, ეცადე, გაუმკლავდე

▪ ბოროტებას ებრძოლე, დაუპირისპირდი, ის საბოლოოდ მარცხდება...

მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს:

„...მხოლოდ მამაც ადამიანებს, სამშობლოს უზომოდ მოყვარულებს, მტრისადმი სიძულვილის მატარებლებს შეუძლიათ ღირსეულად გადაიტანონ მისი განსაცდელი“ (1947: 96);

„ვისაც მარადი უკვდავება რგებია ერთხელ, მას ვერ შეაკრთობს ქარიშხალი, ღელვის გამგენი, თავის განწირვა, ერთგულება გვაკაჟებს მუდამ“... (1947: 98);

„იგი გმირია, ნამდვილი გმირი. იგი უშიშრად შეებმება მტერს, და თუ განსაცდელის ჟამი დაუდგება, მტერს არ დანებდება. გასტელოს სახელოვანი სიკვდილით მოკვდება“ (1947: 102);

„როგორ შეურაცყოფას მაყენებენ! ცემაზე უფრო მწვავეა მათი სიტყვები. დაშაქრული ენით მომმართავს: - შენ ღარიბი ყოფილხარ, დაბღღარძული ტანისამოსი გაცვია, რად უნდა გიჭირდეს? შენ იშოვნი ფულს, თუ თქვენ კომიტეტს მოგვამებნინებ, არავის, არავის ეცოდინება შენი საქციელი“ (1933: 52);

„გაჭირვებაში ჩავარდნილს ხშირად ყველა გვივიწყებს. არის მხოლოდ ერთი ვინმე, რომელსაც ყოველთვის ვახსოვართ. საცა უნდა იყოს იგი, მისი გული იგრძნობს და ნიავსავით მოფრინდება ჩვენთან საშველად. ესაა ის, რომლის სახელს წარმოვთქვამთ პირველად, როცა თვალთ აგვეხილება და ტიკტიკს ვიწყებთ. მასვე სასოებით ვიტყვით უკანასკნელად, როცა სიკვდილი გაიყინება სიცოცხლეზე მეოცნებე თვალებში“ (1961:163);

ლოგიკურად ისმის კითხვა: როგორია მწერლის ენა; რა ენობრივი საშუალებებით ასხამს ხორცს იგი სათქმელს, აღწევს მიზანს და იზიდავს მკითხველს?

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ასეთი შესაძლებლობებით საკმაოდ მრავალფეროვანია დავით თურდოსპირელის მცირე პროზის ტექსტები. უპირველესი, სიუხვითა და ნაირგვაროვნებით გამორჩეულ ლექსიკაა, რომელიც თვალის ერთი გადავლებითაც მკაფიოდ წარმოაჩენს მწერლის ზღვარდაუდებლობას - სახეზე გვაქვს სინონიმის,

სიტყვათა ორიგინალური შესიტყვებების, გამეორების, წარმოქმნისა და თხზვის, სასაუბრო / დიალექტური ფორმებისა თუ არქაული ლექსიკის ჰარმონიული თანაარსებობა, რაც, თავისთავად, განსაზღვრავს მათი ემოციური ველის სემანტიკურ ნაირგვარობას, მხატვრობასა და აზრის გამოხატვის სიზუსტეს.

სინონიმია უნივერსალური მოვლენაა, სხვადასხვა ბგერობრივი მოდელით გადმოცემული ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვები საშუალებას გვაძლევს, მაქსიმალური სიზუსტითა და მრავალფეროვნებით გადმოვცეთ ჩვენი სათქმელი და ნააზრევი, დავახასიათოთ ესა თუ ის ცნება/მოვლენა ყოველმხრივ, თან ისე, რომ მეტყველება არ იყოს ერთფეროვანი.

ანალიზმა ცხადყო, რომ ბევრ შემთხვევაში, მწერალი ერთ სინონიმურ წყვილს იყენებს: „კორდზე გიჟმაჟად დანავარდობს სიო და უხარიან, რომ **ლადია, შეუბორკავია...**“ (1947: 94);

„მასწავლებელი **გაცეცხლდა...აფეთქდა**“ (1933: 37);

„მოისმა ხრინწიანი **სიცილი, ხარხარი...**“ (1933: 51);

„მაგრამ სადღაც უხილავად მზადდებოდა შურისძიების ყუმბარები **ბებერი, ჟამგადასული** ქვეყნის ასაფეთქებლად“ (1961: 165)...;

„ნაკად-წყარონი მგოსნის ლქსებსავით **წკრიალებენ... მოღურღურებენ**“ (1947: 58);

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფრაზები და ფრაზეოლოგიზმები სინონიმური წყვილის შემადგენელ კომპონენტად გამორჩეულად ნიშნდობლივი და საინტერესოა თურდოსპირელის შემოქმედებაში:

„**იბერებიან კვირტები, ფართოვდებიან**“ (1947: 94);

„მინდა ვახარო, რომ მასთან **პირშავად არა ვარ, თავი არ შემირცხვენია, მტრისთვის ზურგი არ შემიქცევია**“ (1961: 163);

„**გაგვჩხრიკეს, სულშიც კი გვიძვრებიან**, რომ რამე გვიპოვნონ“ (1961: 163);

„**პეტრე აენტო. ცეცხლი წამოსცვივდა თვალებიდან**“ (1933: 34);

„მარტის დღესავით შეეცვალათ გიჟმაჟებს სახე...**მოქურუშდნენ...შუბლის კოპები შეიკრეს...**“ (1947: 61)...

ზოგადად, მცირე პროზის ტექსტებში, რომელთათვისაც ძირითადად დამახასიათებელია სხარტი, ლაკონური, დინამიკური თხრობა, გარკვეული რიტმულობაც კი, საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება **ლექსიკური გამეორება** არა მხოლოდ როგორც სტილისტიკური შესაძლებლობა, არამედ, როგორც მხატვრული ტექსტის აგების ერთ-ერთი ენობრივი შესაძლებლობაც (ტექსტის/მეტატექსტის ნაწილების შეკავშირებისა და აზრობრივად შეკვრის შესაძლებლობა).

საანალიზო ენაში დასტურდება სახელთა, ზმნათა თუ ზმნიზედათა როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური გამეორების შემთხვევები, იშვიათად, მაგრამ მაინც, ორმაგი - მიჯრით გამეორებული სიტყვების სხვა წინადადებაში ან აბზაცში გამეორების ნიმუშები, თუმცა, კონტაქტური გამეორება ყველაზე მეტადაა დამახასიათებელი; გამეორებული სიტყვები ერთმანეთთან უშუალო კავშირში, გვერდიგვერდ, ძირითადად უკავშიროდაა წარმოდგენილი:

„**სახნისი. სახნისი, სახნისი!..**“ (1933: 49);

„ქართველი მუდამ მღერის. თავისთავად ეძალებოდა ენას მედიდური **სიმღერა... სიმღერა**, გამარჯვების რწმენის ჩამგონებელი (1947: 14);

„-**გარეთ, გარეთ** გაეთრიე!.. შეღრინა მან ლაზარეს“ (1933, გვ.37);

„- რაო, რაო, რაო?“ (1933, გვ.37);

„-თოფი... ჩქარა ჩემი ხორასნის თოფი გამომიტათო“ (1947: 34);

„მაგრამ დედის ხმაში ცრემლებიც წვრილებდნენ. /ახ, ეს ცრემლები. / დედის მწველი ცრემლები, როცა არ შეგიძლია მიფრინდე მასთან და კოცნით ამოუმშრალიო თვალები“ (1961, გვ.163); „დედაა ეს არსება. ტკბილი, ტკბილი, შეუდარებელი დედიკო“ (1961, გვ.163);

დადასტურდა ასევე არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე ლექსიკური ერთეულის, სიტყვისა თუ ფრაზის გამეორებაც:

„-სალამი, სალამი, სალამი!- შემოსძახა ყინვის ჭახჭახით ზამთარმა ... ზამთარს ყველა საჩუქარი წამოუღია“ (1961: 86).

ერთ-ერთი თავისებურება ტექსტების დასასრული და იქ არსებული გამეორებებია. ისინი დასასრულის ნიშანდობლიობადაც შეიძლება ჩაითვალოს - ავტორი აჯამებს, ხაზს უსვამს მთავარ სათქმელს და ამას ზოგჯერ რიტორიკული ხერხით აღწევს; ზოგჯერ კი გამეორებული ცალკეული სიტყვა ან ფრაზა, ან მთლიანი წინადადება, რომელიც ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს, ტექსტს ასრულებს:

„უხაროდათ მათ...უხაროდა ბიჭიკოს, მაგრამ ვგონებ ყველაზე ძალიან უხაროდა ციალას, რომ მისი ძამია აღარ იქნება ყბადაღებული...გული აღარ დაეჩაგრება“ (1947: 48);

„დასახიჩრებულ მეომრებივით იდგნენ ნაცარსა და ნახშირს შორის და თითქოს სჩიოდნენ - რისთვის, რისთვის და რათა?! (1947: 42).

კვლევამ დაადასტურა, რომ გამეორება, მართლაც, ტექსტთა ნაწილების აზრობრივი სრულყოფისა და შეკავშირების მახასიათებელი ხერხია. ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ იგი მკვეთრად ექსპლიციტურია (ხილულია) მცირე პროზის ტექსტებში და არა იმპლიციტური (უხილავი); ზოგი მას ძლიერ, ზოგიც - სუსტ საშუალებად მიიჩნევს, თუმცა, ერთი შეხედვით, საკმაოდ ძლიერ საშუალებად წარმოგვიდგება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწერალს ინდივიდუალური სტილის შესაქმნელად უამრავი შესაძლებლობა გააჩნია, რაზეც, შეიძლება, არც ფიქრობდეს წინასწარ, მიზანმიმართულად, თუმცა, ტექსტში, საჭიროებისამებრ, ბუნებრივად, მიმართავდეს მათ. შემდგომში კი (დროთა განმავლობაში) მკითხველი/მკვლევარი სწორედ მათი გავლენის ქვეშ ექცევა, აკვირდება, ანალიზებს და აფასებს - იხიბლება, ანდა, პირიქით, უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ასეთ დასაკვირვებელ ბუნებრივ ენობრივ შესაძლებლობათა შორის დიალექტურ ფორმებს, ზოგადად, განსაკუთრებული დატვირთვის მქონედ მიიჩნევენ, რადგან მათი კვლევა რამდენიმე თვალსაზრისითაა საინტერესო: ერთი, რომ მათი მეშვეობით გარკვეულწილად ინახება და ცოცხლდება ძველი; ისინი ზოგჯერ ახალ მნიშვნელობას იძენენ (ახალი სიტყვა იწარმოება), რითაც, თავისთავად, მდიდრდება ენა და ივსება სალექსიკონო მასალა და მეორე - მათი ფუნქციური დატვირთვა ტექსტში საკმაოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. ჩვენთვის უმთავრესი სწორედ ესაა - არა მხოლოდ ენის სიმდიდრის წარმოჩენა, არამედ დაკვირვება იმაზე, მწერალი დიალექტურ ფორმებს, სასაუბრო მეტყველების ნიმუშებს (ელემენტებს), რა მიზნით მოიხმარს და რამდენად სრულყოფს, რამდენად შთამბეჭდავად ასხამს ხორცს მათი მეშვეობით საკუთარ იდეას...

დავით ჩხეიძე-თურდოსპირელი წარმოშობით კახეთიდანაა, სოფელ ვარდისუბნიდან. სწორედ ამიტომ მის დისკურსში არ შეიძლება არა, არ გამოკვეთილიყო დიალექტური ფორმების ფუნქციურობა. უპირველესი, რაც თვალისმომჭრელად მოჩანს, დიალექტური ფორმების მოხმარებით ბუნების მკვეთრად გახმოვანებული და ეფექტური

სურათის შექმნაა, რაც ძირითადად მიიღწევა ხმაბამვითი და სიარულისა თუ მეტყველების სემანტიკურ ველში შემავალი ლექსიკით. ისინი აშკარად აძლიერებენ სმენით ეფექტებს და იმიტაციით საკმაოდ ემოციურად აღიქმება ავტორის სათქმელი: „-ადამიანი მოდის, ადამიანი!.. მოცანცალებდა გულდაქანებული კურდღელი“; „ცხენების თქაფა-თქუფით გადაიარეს“...; „-მოგვაგონდება დავიწყებული სიმღერები,-წამოიმახეს წყაროებმა და ბექობებზე გადაჩქაფუნდნენ“... „სადღაც ფაჩი-ფუჩი გაისმა“; მერცხლებიც მოფრთხილდნენ ჟრიკურიკით“; „ტყეს სიხარულისაგან სახე აუფეთქდა, ფოთლები ჯადოსნურად აუშარიშურდა“...

დიალექტურ ფორმებს, ლექსიკურ ნაირგვაროვნებასთან ერთად, მწერლის შემოქმედებაში აშკარად პერსონაჟის სულიერი განწყობილების წარმოჩენის, საცხოვრებლის (სოფელი/ქალაქი), განათლების მინიშნების, ექსპრესიისა და დინამიკის შექმნის, მკითხველზე ემოციური ზემოქმედების ფუნქციური დატვირთვა ახლავს: „სვანი გაჩქურდა. იგი არწივის თვალებით მოელამუნა ქარიშხლებისა და მტრის ფინთიხის სამიზნო ნაგებობებს“; „ტყრუშული ღობითაც გაუმდარებიათ“... „დიდხანს რჩებოდნენ გალურსულნი“; „ამ სიშორეზე რად წამოსულხართ მაგოდენა ხალხი?; „ე ზამთარმა ხომ ილაჯი გაგვიწყვიტა. ი ყინვაში მთლად დედიშობილა ვიმყოფებოდით“; „-არ გაუფრთხილდნენ ტყეს და ახლა შორს სააგარაკოდ მიდიან ავადმყოფობისაგან გათონთლოებული და გამღიერებულნი“; „აქ ვანოს სინდისმა დაუწყო გულში ჩაჩუნნი“; „-აბაი, ვილაცას როგორ ჩემსავით დაუხატნია“; „აჩვენე ჩვენებს, ვითომც შენ დასწერე... ჩემოდენა როცა გახდები, მაშინ თვით დასწერ ჩემზე უკეთესებს“ ...

თურდოსპირელის შემოქმედებაში ხაზგასმულად გამოირჩევა გასულიერებული ბუნება. უსულო საგნების გაპიროვნებით, სადაც უხვადაა დიალექტური ნიმუშები, მწერალი ძალზე შთამბეჭდავად და ემოციურად ქმნის კახურ კილოურ კოლორიტს, უსულო საგნები ჩვეულებრივი პერსონაჟები არიან, საუბრობენ, ტირიან, დიალოგი აქვთ ერთმანეთთან, ადამიანებივით არიან - ზოგჯერ სასოწარკვეთილნი ან აღელვებულნი... მათ მეტყველებაში, რა თქმა უნდა, ავტორისეული ხელწერაა სწორედაც კახური სურნელით გაჟღენთილი: „-ვაიმე, ვაიმე... საცაა ამოვშრები!- ყრუ ტკივილით ამოიკვნესა წყარომ, - რაც ადამიანმა გაჩანაგება უწყო ტყეებს, - გვალვას თავი ვერ დავახწიე. ლამის მთლად ამოვშრე“; „- გეთაყვათ, ეს ვინ არის? ისე გაბარჯდულა, რომ ლამის მთლად გამსრისოს, - დაიკვნესა თრიმლმა და შეეცადა კვრინჩხისათვის გზა აექცივნა“; „-ავაჰმე, ქერქი გამომიხრეს მწერებმა,-მოთქვამდა მეორე ხე“...

დიალექტური ფორმების კვალი გასდევს დავით თურდოსპირელის პოეზიასაც, რომელიც, მისივე თქმით, „ნორჩ თაობას“ უძღვნა. მწერალი, არღვევს რა სალიტერატურო ენისათვის მახასიათებელ ფიქსირებულ ნორმას, მას აშკარად სტილისტიკური ელფერი ეძლევა, რაც, უდავოდ, რიტმისა და რითმის შექმნა-შენარჩუნებასა თუ სალექსო ექსპრესიის მიღწევას განაპირობებს:

„ავზნიან ზამთარს დამბლა დაეცა,
ველარცა ჰსუსხავს, ველარცა ჰბერავს.
მის სიმაბუნეს დასცინის ზეცა
და იმის ნისლებს სხივებით ჰსერავს...“ /ვაშა გაზაფხულს/
„ჩიტუნიებს თავები
ფრთებში შეუფუთნიათ,
ზერებში თოვლის საბანზე

ბაჭიებს უბუქნიათ...“ /ნუ, ნუ მოჰკლავ, მამილო!/

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ დავით თურდოსპირელის შემოქმედებაში დიალექტური ფორმები საკმაოდ გემოვნებითაა მიმოხილული. შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი იმდენად ორგანულადაა ტექსტში ჩაქსოვილი, ზოგჯერ შეუმჩნეველიც კია ფორმის დიალექტურობა. აშკარაა მათი სტილისტიკური მიზნით გამოყენება - ემოციის, ექსპრესიის, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად და ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობების წარმოსაჩენად, რასაც შესაშურად ახერხებს მწერალი და მათი სტილიზაციის მეშვეობით, რაც ინდივიდუალური ხელწერის შექმნაში ეხმარება, ხორცს ასხამს საკუთარ იდეას.

დავით თურდოსპირელის შემოქმედების კითხვისას არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს მწერლის ოსტატობაზე მეტყველი ლექსიკის მრავალფეროვანი სიუხვე, რასაც განაპირობებს არა მხოლოდ მათი ეფექტურად მოხმარება, არამედ სიტყვაწარმოების, კომპოზიციის, შესიტყვებისა თუ ფრაზეოლოგიის მოდელთა ნაირგვაროვნება: „ჰერბიან ნაზი შემოდგომის **ნარინჯ-თურინჯისფრად** დამშვენებული სურათები“ (1947: 60);

„მათ თოვლის **აჯუჯ-მაჯუჯი** კაცები გააკეთეს“ (1947: 62);

„გაყრუვდა ჰაერი. პირუტყვები **წივილ-კნავილით** სტოვებდნენ ბუნაგებს...“ (1947: 42);

„**ნაკად-წყარონი** მგოსნის ლქსებსავით წკრიალებენ... მოღურღურებენ“ (1947: 58);

„**კრუხს გული გადაუქანდა**... მისი პირმშოს **სიკვდილ-სიცოცხლის** კითხვა სწყდებოდა...“ (1947: 19);

„**ღიმილგადაკრულმა** მოგვიგო...“ (1947: 31);

„ჰაერში გაისმოდა მისი **გულისმომკვლელი წიაფწიაფი**“ (1947: 19);

„წამოუშინა კოკისპირულმა წვიმამ და...იძლია ხანძარი ...დაეცა **ღონეგამოლუული**“ (1947: 42)

„ავდიოდით მახლობლად მდგომ ხეებზე და იქიდან ვუმზერდით **ქუდბედიანებს**“ (1947: 51)

„დავბრუნდით შინ სიძულვილით **გულაპირთავებულნი**“ (1947: 53)

„მეტად **გულნარიანი** რამ იყო, ინადით სავსე. ჰშურდა ყაყაჩოების მომხიბლაობა“ (1947: 54)

„-რა ვქნა, რადა ხარ ნიადაგ ჩვენი ძვირის მთქმელი? - **მიუსაყვედურეს ყაყაჩოებმა...- ავი მეზობლებიც კი ამომავალი მზეაო, ნათქვამია**“ (1947: 55)

„დაღვრემილებს **შუბლი გაეხსნათ...გულს მოეფონათ...ლოყები შეუბროწეულდათ**“ (1947: 66);

„რატომ ქარიშხალი მაინც არ **ჩამოეფარხმლება?**... იქნებ მოთვინიერდა?“... (1947: 57)

ამდენად, საანალიზო საკითხი, ჩვენი აზრით, მკაფიოდ წარმოაჩენს დავით თურდოსპირელის, როგორც მწერლის, ინდივიდუალური ხელწერის შექმნის ზღვარდაუდებლობას (ცალკე განხილვის თემაა ტროპული მეტყველებისა და სტილიზაციის სხვა შესაძლებლობები), მისი შემოქმედების ემოციური ველისა და ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის სიღრმისეულობას, მხატვრულობასა და აზრის გამოხატვის სიზუსტეს.

ლიტერატურა:

1.მ. გაბადაძე 2016 - მ. გაბადაძე, მხატვრული ტექსტის სათაური, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ტიპოლოგიური დინამიკა ინგლისური პროზის კონტექსტში. დისერტაცია. ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2.ნ. გელდიაშვილი, ნ. კოჭლოშვილი 2023 - ნ. გელდიაშვილი, ნ. კოჭლოშვილი, ქართული მცირე პროზის ლიტერატურული და ლინგვისტური წახნაგები, თბილისი.

3.გ. გოგოლაშვილი 2014 - გ. გოგოლაშვილი, რამდენიმე შენიშვნა შიო არაგვისპირელის სათაურების შესახებ. შიო არაგვისპირელისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თელავი.

4.ნ. მარტაშვილი 2004 - ნ. მარტაშვილი, მხატვრული ტექსტის სათაურის სემანტიკის სპეციფიკურობა. „საენათმეცნიერო ძიებანი“, XVI. თბილისი

5.ც. საკარული 2004 - ც. საკარული, სათაურის ძირითადი პარამეტრების საკითხისათვის. „საენათმეცნიერო ძიებანი“, XVII. თბილისი

6.თ. ტალიაშვილი 2014 -თ. ტალიაშვილი, სათაურის ფუნქცია, სტატუსი, ინტერპრეტაცია. სემიოტიკა, #11

7.ზ. ცოტნიაშვილი 2002 - ზ.ცოტნიაშვილი 2002, თანამედროვე ქართული ნოველის მხატვრული თავისებურებანი, თსუ

საანალიზო წყაროები:

დ. თურდოსპირელი 1961- დ. თურდოსპირელი, არაზინდო, გამომცემლობა, „ნაკადული“, თბილისი, 1961.

დ. თურდოსპირელი 1947- დ. თურდოსპირელი, საბავშვო მოთხრობები, საბლიტგამი, თბილისი, 1947.

დ. თურდოსპირელი 1933- დ. თურდოსპირელი, ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1933.

Nunu Geldiashvili

Iakob Gogebashvili State University

Telavi, Georgia

Nunu.geldiashvili@tesau.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.14>

Some Possibilities for the Formation of a Writer's Individual Style in Georgian

(based on the works of Davit Turdospireli)

Abstract

A short prose work, which is mainly characterized by a small number of characters, concise storytelling, and, in many cases, an unexpected ending, requires great experience and skill from the writer. Observation has shown that Davit Turdospireli often conveys the main idea in one meaningful word and offers it as a title. In such cases, different forms of nouns are mainly used: „წიწაკა“ [*tsitsaka*] (Pepper); „ბუხარი“ [*bukhari*] (fireplace); „მეძავები“ [*medzavebi*] (prostitutes); „დარბაზში“ [*darbazshi*] (in the hall); „დღესასწაულზე“ [*dghesaswaulze*] (At the celebration); „ყვავილთა შორის“ [*kvavilta shoris*] (Among the flowers); „ომიანობანა“ [*omianoba*] (Warfare); „ხეტიალი“ [*khetiali*] (wondering)...

The uniqueness and specificity of verb functioning as predicate in the Georgian language allow writers to use them as titles, conveying the main idea through simple or compound verb-adverb forms: „ვიხარხარებდი“ [*vikharkharebdi*] (I would have been roaring with laughter); „დაიგვიანე“ [*daigviane*] (You are late); The verb functioning as predicate creates a highly productive two-part model with a noun, and sometimes with an adverb: „მოცქრიალებს

გაზაფხული“ [*motsqrialebs gazapkhuli*] (Spring is shimmering); „მიდიან ნისლები“ [*midian nislebi*] (The mist is leaving); „გაჩერდა ჟამი“ [*gacherda jami*] (Time has stopped); „მე შეგაეშხე“ [*me shegaeshkhe*] (I have gifted you the oomph); „შინ მიჰყავთ“ [*shin mikhavt*] (They are taking [him/her] home) ... Models of prepositional (and rarely postpositional) constructions that define and limit adjectives and nouns are also frequently confirmed as titles: „მკჳნარს ფოთლებთან“ [*mtchknars poTlebTan*] (Withered with the leaves); „გაწყვეტილი ზღაპარი“ [*gatskvetili zghapari*] (A broken fairy tale); „სიხარული უმწვერვალესი“ [*sikharuli umtsvervalesi*] (The greatest joy)... Relatively less – pronoun + noun model: ჩვენი ბინა“ [*chveni bina*] (our apartment) და ჩემი ულტიმატუმი“ [*ჩემი ულტიმატუმი*] (my ultimatum). However, the noun-based two-part and mixed (three-part, sometimes more) models clearly dominate: „ყურძნის ქურდები“; „ტყის ხანძარი“; „გულების სამრეცხაო“; „ობლის კვერი“... „ყურძნის ქურდები“ [*kurdznis qurdebi*] (Grape thieves), „ტყის ხანძარი“ [*tkis khandzari*] (Forest fire), „გულების სამრეცხაო“ [*gulebis samretskhao*] (Heart laundromat), და „ობლის კვერი“ [*ობლის კვერი*] (Orphan's bread).

It is noteworthy that titles expressed with proper names, specifically the names of people, surnames, or pseudonyms, are common: „ამირანი“ [*amirani*] (Amirani), „ბეგლარ ახოსპირელი“ [*beglar akhospireli*] (Beglar Akhospireli), „ძეძვია“ [*dzedzvia*] (Dzedzvia)... In some cases, proper names function as determiners or boundaries: „შოთას სინანული“ [*shotas sinanuli*] (Shota's Repentance), „მწყემსი გოგია“ [*mtskemsi gogia*] (Shepherd Gogia)... When studying the characteristics of these titles, it was found that, although less frequently, numerical names also appear: „ორი ბეჭობი“ [*ori beqobi*] (Two Hillock), „პირველი დავალება“ [*pirveli davaleba*] (The First Assignment), „შვიდაბაზიან ოთახში“ (shvidbazian otakhshi) (In the Seven-Sided Room)... In certain cases, titles are not individual words or phrases, but complete sentences with or without expansion, containing a verb: „მოცქრიალებს გაზაფხული“ [*motsqrialebs gazapkhuli*] (Spring is shimmering), „იებისაც კი ეშინიანთ“ [*iebisats ki eshiniat*] (Even the Violets Are Afraid), „წერილი მისწერეს პოეტს“ [*tserili mistseres poets*] (The Letter Was Sent to the Poet)... One group consists of character-based titles, which inform the reader, even before reading the work, about who or what the text is about: „დავით და კონსტანტინე“ [*davit da konstantine*] (David and Konstantine), „მწყემსი გოგია“ [*mtskemsi gogia*] (Shepherd Gogia)... It is noteworthy that the direct expression of texts as titles, originating from a character's spoken phrase, is significant. Authors attempt to evoke expression by turning the character's exclamation at a moment of emotion or climax into the title: „ბულბულის სტვენით გეძახდი!“ [*bulbulis stvenit gedzakhdi*] (I Called You with the Nightingale's Song!); „შემოდგომის მწუხრს დავიბადე!“ [*shemodgomis mtsukhrs davibade*] (I Was Born at the Dusk of Autumn!); It is known that a title can be emotionally neutral in meaning or emotionally charged. One of the signals of its realization is the use of interjections: „ვაშა გაღვიძებულ სიცოცხლეს“ [*vasha gaghvidzebul sitsotskhles*] (Hurrah to the Awakened Life!); „ახ, რას უზამ ამ ლაწირაკებს!“ [*akh, ras uzam am latsirakebs*] (Ah, what will I do to these Rascals!)... One of the means of emphasizing the expressiveness of a title is the case of lexical repetition: „არ ვეურჩებით, არ ვეურჩებით“ [*ar veurchebit, ar veurchebit*] (We Don't Disobey, We Don't Disobey); „გცივა, გცივა“ [*gtsiva, gtsiva*] (Are You Cold, Are You Cold?); „ამოუცნობი ვარ, ამოუცნობი“ [*amoutsnobi var, amoutsnobi*] (I Am Unknowable, I Am Unknowable)...

A detailed review of titles gives us the opportunity to freely define the writer's thematic choices – about whom or what they wrote, what concerns the writer had, and more. Our interest, based on them, is to create a **linguocultural paradigm**—to explore what the writer writes for future

generations and how; what are the concepts that must have an eternal reflection in the Georgian mentality; what should people/young people be prepared for in life?!

Logically, the question arises: What is the writer's language like? What linguistic tools does he use to give substance to his message and attract the reader? David Turdospireli's texts are rich in such possibilities. The most notable is his lexicon, which stands out for its abundance and diversity. Even with a quick glance, it clearly demonstrates the writer's unparalleled range—there is a harmonious coexistence of synonyms, original word constructions, repetition, creation and formation, colloquial/dialectical forms, and archaic vocabulary. This, in turn, determines the semantic richness of their emotional field, their artistry, and the precision with which ideas are expressed.

Key words: Short stories, Davit Turdospireli, deadlines